თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3201084

ნომერი: AR1490354

თარიღი : 27.03.2017

გაცემის თარიღი : 20.04.2017

გაცნობის თარიღი : 20.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042)/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი III , N14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე იოსავა პ/ნ 01012004071
- ბეთლემის ქუჩა3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 27.03.2017 წლის #AR1490354 განცხადებით მომართა მარინე იოსავამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა შანდორ პეტეფის, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/042)/ ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მიკრო/რაიონი IV, კვარტალი III, N14 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.17.10.003.075), მრავალფუნქციური კომპლექსის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 12 იანვრიდან 2018 წლის 12 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანების მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, აცხადებს, რომ ჩანაწერში მითითებულია: მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 12 იანვრიდან 2017 წლის 12 იანვრის ჩათვლით, თუმცა აღნიშნულის ნაცვლად უნდა ეწეროს: მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 12 იანვრიდან 2018 წლის 12 იანვრის ჩათვლით.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანების მე-2 პუნქტში უნდა დაფიქსირდეს: მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 12 იანვრიდან 2018 წლის 12 იანვრის ჩათვლით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 12 იანვრიდან 2018 წლის 12 იანვრის ჩათვლით.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.01.2017 წლის №3036809 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.